



# ჭარბაქმისკარგა

ვირანთი...!

ვით შუქურა, — ვერ ანთია!.. საქმეს აქუხს. აწვიმს, ათოვს!..  
თავი ველარ უმართავს და ტრესტი, აბა, როგორ მართოს?!.

ბესლი

დანთხინს ისევ გესლი: „ხედავთ, როგორ დაიბნენო,  
დაჩქარებან ასე ესმით — ის თუ გარბის, მეც ვირბენო!“

ქარბად იცითი..

საკაკანოდ კიდეც იცლით? კმარა მომიწეზება,  
რაც დაგვმართა, კარგად იცით, ზარ-ზეიმის დეზებმა!

ნაღვანის ლეწვით ხარ ბედნიერი — არქიწურბელა-

ბრაკონიერი!

სეზამი..

წუნს არ გააპარაშებს სახელმწიფო მიღება,

სეზამი — ახჯერ რომ უთხრა, ერთხელ არ გაიღება!

თვით დაფინანსება: სხვისი დაქცევით ჯიბის ავსება!

შეაჩერეს, თორემ კრების თვალწინ ენას მოიხვედა,

ეგ ხმაური ვის სჭირდება, საქმემ თუ არ მოიხვედა?

სამცვლიანზე გადავიდა!

ცილი სკდება, როგორც ნაღმი, კალამი არ აარია,

წერა-წერით წუხელ ღამით სამცვლიანზე გადავიდა!

გაჭირდა

ძებნად რატომ გავჭირდვართ, იცით, ხალხნო, მოხელის? —

აღზრდა, აღზრდა გაჭირდა ერთპირის და ორხელის!

ეჩო

შეუქმნელი დოვლათიდან ბედოვლათი ეჩოს თლიდა!

დაცლა

მარცხნივ — უარი, მარჯვნივ — უარი, დაცალა ნდობის რეზერვუარი!

ვირანთი..!

ხარჯი ვერასოდეს იზღოთ უპროფესიონალიზმოდ!

უაფიშო

მთლად დაკარგე? — მართლა ვშიშობ, ჩემო სისხლო, ჩემო გენო,

ურეკლამო, უაფიშო, უყვედრები მადლის გემო!..

დაწინაურდა

უღლის გაწევა არ უნდა, ამიტომ... დაწინაურდა!

დაასილოსა!..

სიტყვა გატეხა, დაკეპა, დაუეუა, დაასილოსა...!

და მისი საქმედ ქცევისა მე არა მჯერა, შვილოსა!

კარგად იცითი..

ვერ წაართმევ, კი, ღმერთმანი, პროფესიონალია,

ყელი არც კი გაისვება, ჩაფი ისე დალია!

ვინ მმოკრიფოს?!

დაბნეული, — ვიტყოდით, — ვინ მოკრიფოს ეს ფეტვი,

დარღვეული პირობით „შეკერილი“ ეფექტი?

ჭარბაქმისკარგა

იქუხა, თუმცა წამით (ხანმოკლით!) ფეხზე ვერ დადგა ხელის

წამოკვრით!

ევისება

კვლავ გვაფრთხილებს ურყენელი, მშვიდი პათიოსნება:

აკამ ლუკმას უკელით, თვალი ისევ ევსება!

რიხით

ხმასაც აღარ ინაზებს, აზრი არ დაიძველა,

რაც არ იცის, იმაზეც პასუხს რიხით იძლევა!

უკრიტიკო

დადის ცარიელი ტიკით — უკრიტიკო თვითკრიტიკით!

ჭარბაქმისკარგა

ჭარბაქმისკარგა

ჭარბაქმისკარგა

ჭარბაქმისკარგა

ჭარბაქმისკარგა

ჭარბაქმისკარგა



ჭარბაქმისკარგა

ჭარბაქმისკარგა

ჭარბაქმისკარგა



ნახ. ბ. ზუბანაშვილის



უსიტყვოდ

უპურადლება: სიხალე..!

იუმორსკა

ოცი წელი მოანდომა ბეწვისოდენა ნაკეთობათა ლაბორატორიის თანამშრომელმა ზეზვა უჯრიაულმა მსოფლიოში ყველაზე მცირე ტელევიზორის გამოგონებას... და, აი, თეთრად გათენებულ ღამეებს უქმად არ ჩაუვლია — კონსტრუქტორმა მიზანს მიაღწია — გამოიგონა მსოფლიოში ყველაზე უმცირესი ტელევიზორი, რომელიც თავის ანტენადასადგმელიანად თავისუფლად თავსდება ნემსის წვერზე!  
ახალი უმცირესი ტელევიზორი არათუ არ უჩვენებს, თვითონაც არ ჩანს!

არაჩემია

# ჭიანჭველთა სა არწილი

ბარდაქმნილი ზღაპარი

**ჭიანჭველა** და რწყილი დამობილდ-  
ნენ. გაუდგნენ გზას, მიადგნენ წყალსა. ის-  
კუბა რწყილმა და გადახტა. ისკუბა ჭიან-  
ჭველამ და შიგ რუში მოადინა ზღართანი.  
მის ბედად იქ ვილაცას მთელი გოგორა პუ-  
რი გადაეგდო და ის პური წყლიდან ამო-  
შვერილიყო. ჭიანჭველა ზედ შეაცოცდა.

თოკი-ბაწარი, ახლანდელის არ იყოს, მა-  
შინაც დაფიციტი განსლდათ და ეს რწყილ-  
მაც კარგად იცოდა. დაფიქრდა ძმობილის  
ბედზე.

„ვთქვათ, ვეახლე იმ ღორს და რეზოლუ-  
ციის დასადებად მივართვი ასეთი განცხა-  
დება:

„ღორო, მომეც ჯაგარი,  
თოკი შინდა მაგარი,  
გადაუგდებ ბაწარსა,  
ჭიანჭველას საწყალსა!“ —

არა, არაფერი გამოვა: ჯერ ერთი, რომე-  
ლი რომანტიკოსი ვგ ღორი მყავს, რომ  
ლექსისა რამე გაიგოს; მეორეც, მე რომ ჩვე-



ნი ბიუროკრატული ჯაჭვის ამბავი გამიგო-  
ნია, ღორი ადგება და მუსხასთან გამგზავ-  
ნის, მუსხა ყვავთან გამიშვებს, ყვავი კრუსზე  
მანიშნებს, კრუსი ორმოსკენ გაიშვერს ნის-  
კარტს, ორმო თავის კვალზე დამაყენებს,  
თავი კატაზე მიმაგდებს, კატა ძროსაზე მი-  
მაკნაელებს, ძროსა ბალახისკენ გაიქნევს  
თავს და ნამეტანი გაეწვალდები! ამასობაში  
კი, ვაითუ, ეს რუც ადიდდეს და ძმობილი  
დამენარჩოს! შიმშილით კი არ მოკვდება —

აგერ, რამხელა პურზეა აცოცებული! ამიტომ,  
მოდო, ასე გავაკეთებ: ნაპირზე მშვენიერი  
ბალახია აბიბინებული. დავგლეჯ, ერთ მო-  
ზრდილ კონას შევკრავ და პირდაპირ ძრო-  
სას მივუტან. ძროსა მომეცმს რძესა, რძეს  
მივუტან კატასა, კატა დაესწნება თავსა,  
თავი მოშორდება ორმოსა, ორმო გამოი-  
შეტებს ფეტვსა, ფეტვს მივურბენინებ კრუს-  
სა, კრუსი შეეღვევა წიწილსა, წიწილს მიე-  
გვრი ყვავსა, ყვავი შეეშვება მუსხასა, მუსხა  
ჩამოიყრის რკოსა, რკოს მივაშავებ ღორსა,  
ღორი დაიწინის ჯაგარსა, დავგერვ თოკსა  
მაგარსა, გადაუგდებ ბაწარსა, გადავარჩენ  
საწყალსა! ყველაფერ ამას ფაქტობრივად  
ერთი საცოდავი წიწილა შეეწირება, მაგრამ,  
აბა, წიწილა ჭიანჭველასთან რა შესადარე-  
ბელია! მე კიდევ ლექსის თანდათან გაბურ-  
ვა და რვაჯერ ჩაბუღებულეზაც აღარ დამ-  
ჭირდება“.

...სულ რაღაც ერთ საათში მოგვარდა  
ამხელა საქმე და ძმობილები კვლავ ერთად  
გაუდგნენ გზას.



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

ჩურჩული — იქა!  
საჯაროობა — აქა!  
ბიუროკრატობა — იქა!  
ოპერატიულობა — აქა!  
რუტინა — იქა!  
გარდაქმნა — აქა!..

**მინაწერი:** ზემოთ მოთხრობილი ვარ-  
დაქმნა ჯერ მაინც არ არის ნამდვილი ვარ-  
დაქმნა! აი, როცა მთელ გოგორა პურს წყა-  
ლში არ გადავაგდებთ და ერთი ჭიანჭველას  
გულისათვის წიწილას არ გავწირავთ, ჭეშ-  
მარიტი ვარდაქმნაც ის იქნება! ვიცოცხ-  
ლებთ, ვნახავთ!..


ჩაიწერა **პ. თაბაჯაშვილმა**



ნ. ა. აბაშიძის

ანტიპოდების პუშმჭარი

# სირაქუმის ქაძკაქსი



ანუ საქმინი მახარაქელ უქლავ ქმათა უღრელიქმთა

ფელეტონი

**სირაქუმის** კომპლექსი უმარტივესი მანიპულაციაა, რომელიც ნათელს ხდის ამ ეგზოტიკური არსების სიბრყვეს. საქმე ის არის, რომ სირაქუმმა საფრთხის მოახლოების კამს გულდაგულ მალავს თავს იმ უბრალო მოსაზრებით, რომ რაკი თავად ვერ ხედავს, მასაც ვერ შეინიშნავენ...

სირაქუმას, მოგვხსენებთ, სოლიდურ სხეულთან შედარებით თავი (შესაბამისად ტვინიც) პაწაწინტელა აქვს. ამდენად მისი საქციელი, სხვა რომ არა ვთქვათ, შესაბარალისია!

აღმატებულად საცოდავ მდგომარეობაში იგდებენ თავს ის ადამიანები, რომლებიც სირაქუმის მეთოდით ცდილობენ გავიდნენ ფონს — მიჩქმალონ სიხარბე, ღვარძლი, შური, აქოდა, მოვიხვევთო, წავგლეჯთო, ვიცუღლუტებთო და რაკი თავად თვალს დაეხუჭავთ, სხვებიც ვეღარ დაგვიხანხვენო!

რამ გვათქმევინა ყოველივე ეს და, რაც მთავარია, რამ გვაიძულა შემოგვკლანძლოდა უწყინარი სირაქუმმა?

საქმეთა მახარაქელ ქმათა უღრელიქმთა, უწინარესად უსათნოქმთა და უპატივცემულქმთა **შალვა უღრელიქმე**, ერთ-ერთმა ცალმა ტყუპი მარგალიტისამ.

რითო? — იკითხავთ. საქციელით!

ღიბს, საქციელით, საკუთარი „მეს“ აღმატებული სიყვარულით, სხვათა თვალში ბეწვის ძებნით, მომხვეჭელური მისწრაფებით, სათნოების დატევებით და ზიარებით ეშმაკეულთან.

სხვაგვარად ვერა და ვერ აგვიხსნია ის, რაც მან და მისმა ტყუპისცალმა მარგალიტმა გიორგიმ ჩაიდინეს იმ განსხვავებით, რომ ამ უქანასკნელს თავისი მრუდე ნამოქმედარის გამო ხმაური არ აუტეხია, თვალში ნაცარი არ შემოუყრია, ზის თავისთვის მოფარებულში. **შალვა** კი...

„მოქ. შალვა უღრელიქმის საქმე“, „შ. უღრელიქმის საჩივრები“, „შ. უღრელიქმის განცხადებათა პასუხები“, „დადგენილებანი შ. უღრელიქმის საქმეზე“, „განაჩენი შ. უღრელიქმის საჩივრებზე“. ბევრია? სრულებითაც არა, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ **შ. უღრელიქმის** თითოეულ „საქმეზე“, რომლებიც ინახება რესპუბლიკის, ქალაქის, რაიონის თუ სოფლის კანონდამცველ და მმართველ ორგანოებში (რომელთა ნახევარ ჩვენ შეეძლებოდა), შევიდო საგულისხმო მოცულობის ტომია შედგენილი.

აღნიშნულ ტომეულთა ლაბირინთებში რომ არ დავიბნეთ და ზედმეტად არ დავდლოთ მკითხველი, ვიხელმძღვანელებთ რესპუბლიკის პროკურატურაში არსებული (იგი დათარიღებულია გასული წლის მაისით და მის გაცნობას ხელწერიტ ადასტურებს **შ. უღრელიქმე**) საბუთით. თუმცა სანამ ამ საბუთს მივმართავდეთ, ნებას გთხოვთ მცირე ექსკურსისათვის, რომელიც, ვფიქრობ, მოკლედ გადმოგვცემს მთელი დავიდარბის უელაზარს, თუკი ქმათა უღრელიქმთა გაუ-

თავებელ ორომტრიალში რაიმე აზრი იდოს, გარდა მოხვეჭისა:

ამ ნახევარი საუკუნის წინათ ჩოხატაურის რაიონის სოფელ ზემოხეთში დაიბადნენ ქმები **შ.** და **გ. უღრელიქმები**. ადრე დაიბლდნენ, თუმცა ღვთისა და მამინაცვლის წყალობით დაიზარდნენ. პოდა, რომ დაეაქაცდნენ და დაეცდნენ, 1953 წლიდან ღღემდე ვერ იქნა და ვერ დაადგინეს, ვის მეტი ერგო ნაქერ-ნაქერ დარიგებული და გაყიდულ-გასხვისებული მამინაცვლისეული არასამეკვიდრეო ეზო-მიდამო. ღიბს, გაუმაძღრობაა თავი და თავი მიზეზი ოცდაათწლიანი იმ მიძვილობისა, რის შესწავლაზეც ათასობით სამუშაო საათით მოცდა ასობით პროფესიონალი თუ არაპროფესიონალი შემოწმებელი და გამაზავებელი.

არადა, არ ასვენებს ბატონ **შალვას** პატივმოყვარეობის კია, სურს, გვიჩინა თუ არ გვიჩინდ, ჩავიხედოთ იმ წუძვეში, რომელშიც ქმები არიან, რაღა თქმა უნდა, თავის დროზე გამოჩენილი იმ პირთა დოყლაპობის გამო, რომლებსაც კანონის დაცვა ევალებოდათ რაიონში ამ ოცი, ოცდაათი წლის წინათ.

ახლა რაც შეეხება ზემოაღნიშნულ საბუთს: იგი რვა ქვეპუნქტისაგან შედგება. თითოეული პუნქტი შეიცავს პატ. **შ. უღრელიქმის** თავდასხმას ამა თუ იმ მოვლენაზე, პიროვნებაზე, განაჩენზე და ასე შემდეგ.

1. უქმაყოფილება მამინაცვლისეული ეზომიდამოს გაყოფის თაობაზე (აურზაურის ქვეკუთხედით).

2. 1978 წელს **შ. უღრელიქმის** ინკასატორად მუშაობის პერიოდში დაიკარგა დიდიძალი სახელმწიფო ფული. ნახევრის (8884 მან.) გადახდა სასამართლომ დააკისრა **შ. უღრელიქმის** (შალვამ ქვა ააგლო და თავი შეუშვირა).

3. 1977 წელს ამ საკითხის გამო გამოტანილი განაჩენი უქანონად მიიჩნია და შეიტანა სარჩელი ხსენებული თანხისა და უქანონობასთან ბრძოლაში აქეთ-იქით სიარულში დახარჯული სამი ათასი მანეთის დაბრუნების თაობაზე (გაბედეს და უარე შეტკადრეს).

4. 1980 წელს მისი ბინიდან მილიციის მუშაკებმა ამოიღეს თოფი, რომლითაც ის თავის მტრებს ემუქრებოდა (შალვა, რა თქმა უნდა, აღფრთოდა).

5. 1982 წელს **შ. უღრელიქმე** ორჯერ უხეშად დაარღვია (ლოთობა საქესთან და უნებართვოდ მანქანის მართვა) ავტომანქანით სარგებლობის წესი (შალვა აქაც უცოდველ კრავად თვლიდა თავის).

6. 1984 წელს **შალვა** შეეცადა თავის ქმასთან ურთიერთობა გაერკვია მუშტი-კრივით (სამოცს კარგა ხნის მიახლოებულ-გადაცილებულნი არიან). შალვას ცოტა მეტი მოხვდა და კანონს მოუხმო დამცველად (იგი

ჩვეულებრივ მართალია, უბრალო და უცოდველი).

იქნებ მეტისმეტი გეჩვენოთ ერთი კაცი-საგან ამდენი პრეტენზია. ახლა თვით პრეტენზიათა საფუძვლიანობას გადავხედოთ.

ორზე ვთქვათ. ჩხუბის ამბავი: გალახვა მორევანზე და ჩხუბი არ უნდა დაგეწყოთ, უთხრეს. დანარჩენი ხუთი კი: სახელმწიფო თანხის „დაკარგვა“ არც ისე უმტკივნეულოდ უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ შელაგაით გაუწიეს მის წარსულს — ომში მონაწილეობას. მეორე სასამართლოზეც, ვითარცა ყოფილ მეომარს, თანადგომა გაუწიეს. 1963 წელს გამოუყვეს სადავოდ მიჩნეული 500 კვ. მეტრი მიწის ფართობი. ეს ცოტაა, რას მეყოფათ, ადგა და 700 კვ. მეტრი თვითნებურად მიიტაცა. ამ გამოყოფილ-მიტაცებულ ეზოში ააშენა სახლი და გაყიდა. ამ ამბავს საქმოსნობის სუნი ასდინსო, შეგბედეს. აქეთ შემოუწყა, რას მიბედავთ, ომის ვეტერანი გახლავართ, ჩემმა ძმამ სწორედ ასეთი გზით ორი სახლი გაყიდა! ასევე ამბობქრდა და საჩივრებით აავსო ქვეყანა, როცა ავტომანქანის მართვის ქვესტი დაარღვია: მახარაქლმა ავტოსაგზაო ინსპექტორებმა მომიგონესო! არაფერიც: მთვრალი ხელვაჩაურში დაუკავებიათ საქმისთან, უსაბუთოდ მანქანის მართვისას კი — ქობულეთში.

და ჩივის ბატონი **შალვა**. დადეს ინსტანციებში, გზავნის წერილებს, ლანძღავს და ავიწყებს მისთვის ურგებსა და კანონის დამცველთ. მექრთამედ, ჯაშუშად თუ ქვის მკვნიტელად მოიხსენიებს ყველა იმას, ვინც მხარში არ უდგას, ვინც არ თანაუგრძობს, ვინც სიმართლესა და კანონიერებას არ გაათვლინებს..

ისე კი, ჩვენი კანონის ჰუმანურობა და ქმედების ხანდაზმულობა რომ არა, შალვასა და მის ძმას, მათს ბაერ ორ ხელის შემწყობლაც კარგა ხნის წინათ უნდა გაპარსვოდათ ცალი წვერი.

ახლა ამ წერილის წაკითხვა თუ ისურვა ბატონმა **შალვამ**, იტოვბოთ, გაუჩნდება საწინააღმდეგო აზრები: როგორაო, იტყვის, რედაქციას მოსაშველებლად მოვუხმე და თავი მომპრესო! მტრად მოგვეყილება, მტრების წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდები და გამოცილება დიხანც მოეპოვება. შალვას რომ „საქმეების“ არქივი აქვს, დიდი უწყების არქივს უშუაღრდება.

მახლას, მოხდეს რაც მოსახდენია! მისი საჩივრების გამო ათობით და ასობით კომისია მოცდა და ერთით მეტი ან ხალხები ქვეყანას არ დააქევეს. წერეთ, ბატონო შალვა, ღმერთმა ხელი მოვიმართოთ! თუმცა სირაქუმის კომპლექსი გვიჩინა შეგახსენოთ — თქვენ რომ თვალს ხუჭავთ საკუთარ ნაავაცარზე, ჩვენ ვერ დავბრძვებთ! ვნებდათ და რა ვქნათ?!

მოგვიტევეთ!..

დავით ხალელი

## რიზი და წესი

- მოქალაქე, ურიგოდ რატომ მიდიხარ?
- შე კაცო, ერთი კოლოფი ასანთი მინდა!..
- მე სულ არაფერი მინდა, მაგრამ რიგში მაინც ვდგავარ!.. ასეა წესი!..

## ცვალებადობა

- ამ ბოლო დროს ძალიან შეიცვალეთ!..
- დრომ მოიტანა!.. შენ კი სულ არ შეცვლილხარ!..
- მე თავიდანვე ვიყავი შეცვლილი!

## ჰკვიანი ნაცნობი

ერთი კაცი თავის ნაცნობს გულწრფელად აქებდა:  
— ნამეტანი ჰკვიანი კაცია: სულ ამოწერილი აქვს, რა წამლებიც იწოვება აფთიაქებში და ავადაც იმის მიხედვით ხდება!..

## ურუები

- მეზობელო, ოჯახში ყრუ ხომ არავინა გყავთ?
- პირიქით, ყველას შესანიშნავი სმენა აქვს.
- ბოდიში!.. თქვენი ბინიდან ყოველდღე მუსიკის ისეთი ღრიალი ისმის, ვიფიქრე, ალბათ ყრუები არიან-მეთქი!

## სტილი

- რა ენაზე მდერის, შვილო, ეს გუნდი?
- ქართულად ბაბუა, მხოლოდ უცხო სტილზე.
- არ გამიკვირდა?! რალაც მეცნობა-მეთქი!..

## აკლონ ბასილია



ნახ. ბ. ლომიძისა

— შემოძვრით და მოვაწეროთ ხელი!..

# რაო?! ისე? რატომ?!

სიტყვას ისეთს იტყოდა, მარწყვს დაკრეფდა ზამთარში, „მჭევრმეტყველი“ იყო და ტყუილს რევა მართალში.

ქარბუქს როცა ატეხდა, იდგა კორიანტელი!..  
ენით ჯაგნარს კაფავდა, ჰქონდა ძალა ამდენი!

მაგრამ ერთხელ სახალხოდ თითს არ გაატოკებდა, ყველა კარი გააღო, ერთხელაც არ მოკეტა!..

თუმცა „მჭევრმეტყველებდა“.. თუმცა სიტყვა უჭრიდა, ვერაფერს ვერ შევლოდა, რადგან... საქმე უჭირდა!

სხვის ნაკლს კარგად ხედავდა, მისას ვეღარ ამჩნევდა, გაუბედავს ბედავდა, ვერაფრით ვერ გაჩერდა!..

მისი ინტრიგანობით თუმცა ბევრი დნებოდა, იმნარად გალობდა, ყველა ერიდებოდა!..

„აქტიური მუშაკის“ დამიკვიდრა სახელი და „სიმართლის გუშაგმა“ ღვარა შხამი, ნაღველი!..

კლამს ხელი მოჰკიდა (დღეს უკალმოდ ვერ ივლი!), წერა ანონიმური უთვალავი წერილი!..

ცა და მიწა აიკლო, ბუზსაც ხდიდა სპილოდა, უსახელო წერილში ამინდებზეც ჩიოდა!..

უფროსს ორმოს უთხრიდა ჩუმად, გაფაციცებით!..  
და, სიმართლე თუ გინდათ, — თალა კუბოს ფიცრებიც!..

ტრაბახობდა: „რაც მე აქ სამუშაოდ მოვედი, დღემდე გამოვიცვალე დირექტორი თორმეტი!“

ეს კი იყო მართალი — უხვად წამლა ჰაერი — ზოგს ინფარქტი დამართა, ზოგს ინფარქტისნაირი!

„მე ქვეყანა მიცნობსო!“ — სადღა აღარ ლალობდა, მაგრამ როგორ იცნობდნენ, ამას აღარ ამბობდა.

თვითონ სულ ერთ ადგილზე იჯდა უქმად სრულებით არცთუ ისე ჰკვიანი, არცთუ ისე სულელი!..

„მომწყინდაო ამ ხალხის სამსახურში ყურება, პენსიაზე გასვლამდე მსურსო დამსახურება!“

იღვა, სად არ იარა, სად არ გახსნა იარა, მაგრამ... ყველას აევსო მოთმინების ფილა!

უცებ სხვადასხვა მხრიდან უცხო სახრემ გადაჰკრა: განა სიტყვით, საქმითაც მოითხოვეს გარდაქმნა!

რა გზა იყო! გარდაქმნას ეცადნენ და ეცადა! — ვერაფერი ეშველა, ბეცი დარჩა ბეცადა!

თუმცა ბევრი იქადა, თუმცა ბევრი იწვალა, ვეღარ გარდაიქმნა და ბოლოს გარდაიცვალა!

P. S.

რაო?! ისე ცოცხლობსო?! რაო?! ისე არიო?! არა, არ გამაგიჟო! არა, არ ვაღამრიო!

აშთანდილ გურგენიძე





# ინტერვიუ არდალიონ ჭრუპიაშვილთან

იუმორისკა

ამას წინათ ჩვენმა კორესპონდენტმა ბიჭია ფხიზელურმა დილაუთენია ძლივს მიუსწრო ფხიზელს გამოუსწორებელ და გადასწორებულ ლოთს არდალიონ წრუპიაშვილს სარდაფში და სთხოვა სმის დაწყებაზე ეპასუხა რამდენიმე შეკითხვაზე (ინტერვიუს ვთავაზობთ შემოკლებით).

— როდის დაიწყეთ სმა?

— ღვინის სმა მაშინ დავიწყე, რძის სმას რომ თავი დავანებე; ავიღე ხელში ჭიქა, ავაგეს (ო, რა ღვინო იყო!), თავი ოდნავ გადავწიე, პირი გავაღე და... თუ ძმა ხარ, ნუღარ გამახსენებ, ახლაც ნერწყვს ვყლაპავ იმ რქაწითლის ეშხით!

— მაინც რატომ სვამთ სშირად?

— მე არ ვსვამ ღვინოს, ღვინო თვითონ მსვამს, ჩემი ხელფასიც ღვინოს თან ახლავს, ღვინოს ვუწოდებ ისეთ ხვითო შხამს, რომ დაგათრობს და ცოლთან დაგმარხავს!

— დღესდღეობით რამდენს სვამთ?

— ძალიან ცოტას, შვიდ ჭიქამდე ძლივს ავდივარ!

— ძირითადად როდის სვამთ?  
— ძირითადად ვსვამ ჭამის წინ, ჭამის დროს და ჭამის შემდეგ!  
— მაშ, როდისღა არ სვამთ?  
— არ ვსვამ ძილის დროს!  
— კი მაგრამ, დღეს რომ ლოთობას სასტიკად ვებრძვით, შენ სადღა სვამ ამდენს?  
— ვსვამ ჩუმად, სარდაფში, იქ ვერც ცოლი დაშინახავს, ვერც მეზობელი და ვერც უბნის ინსპექტორი!.. მე თუ ვლოთობ, შენ რას გიშლი, ძმობილო?  
— მაინც საიდან და როგორ შოულობ სასმელებს?

— ეჰ, ჩემი ხელფასი სასმელში არ მიდის?

— სად მუშაობთ?

— ყარაული ვარ; მთელი დამე მძინავს, ისიც მთვრალს, ჩემს გარდა იქ არაფერი არაა და რას წაიღებენ?

— ოჯახს რით არჩენთ?

— დედაჩემის, მამაჩემისა და სიდედრის პენსიით, თან ცოლიც და შვილებიც მუშაობენ და ბოლო-ბოლო ერთ კაცს ვეღარ შემინახავენ?

— ამ ბოლო ათი წლის განმავლობაში ფხიზელი ყოფილხართ სავროთოდ?

— როგორ არა, დათრობამდე ყოველთვის ფხიზელი ვარ!

— ლოთობაში ვინ მიგაჩნიათ თქვენს ღირსეულ წინამორბედად?

— კოკა ჭურაძე, ვეშაპო ფაშვიანი, შმაგი ჩაფიძე, არყაძი გადაკრულია, ჭაჭია ცეცხლიაური, წრიპო ასგრაძინი, ასვარ მარნიშვილი, ფულტონ ხელგაშლილია, დევი ჭინჭილაური, ბუთხუზ ყლაპაძე და ვეფხო შიპიტაური (იმით ვენაცვალე დალევაში!).

— შინ როგორ ვეუბიან შენს ლოთობას?

— შინ არ მივდივარ, სარდაფში მძინავს!..

იმისი ქმარი სარდაფში მოკვდა, — ასე იტყვიან ჩემზე ლოთები!..

— თქვენ, როგორც ვატყობთ, ხუთწილს გყვარებთ; ნუღან ტიცაწინს წინაშე ვიქნები, ლექსი გადააკეთეთ, ახლა ლადო ასათიანის სტრიქონებიც გაისხენეთ, ბავშვობაში ხომ არ წერდით ლექსებს?

— არა, მაგრამ ერთ დროს აღიარებული თამადა ვიყავი და რაც კი დაწერილა ღვინოზე; ლოთებზე, ყველაფერს ვიზეპირებდი, თან სადღეგრძელოებში ვიყენებდი შემოქმედებითად.

— სუფრული სიმღერებიდან რომელი მოგწონთ განსაკუთრებით?

— „დამისხი, დამალევიწე!“, „ღვინოვ, კახურო!“, „საყვარლისა ეშხითა ღვინოც დამილევი“, „დოქის ტუჩი მირჩევნია ქალი-სას“, „რა სჯობია ქეიფსა და ღვინოსა“, „მე განა ღვინომ დამათრო“ და ასე შემდეგ.

— ცხოვრებაში რაიმე სასარგებლო საქმიანობას ეწვეით?

— ვიწვევი სიგარეტ „მტკვარს“, აბა, „მარ-ლობორის“ ფული სადა მაქვს!

— რას ვეუბნებით თქვენს სამომავლო გეგმებსა და პერსპექტივებზე?

— თუ საგარეოში არ გამგზავნენ სამკურნალოდ და თუ ჯანმრთელობამაც შემეწყობი ხელი, გადაწყვეტილი მაქვს მეზობლებს უანგაროდ დავენმარო დამარბამდე მისული სასმელების დროულად რეალიზაციაში, პარალელურად, ვფიქრობ, თუ ფხიზელი დავრჩი, ჩემი სარდაფიდან თანდათან გავიტანო და მინის ტარის მიმღებ პუნქტს ჩავაბარო ცარიელი ბოთლები და იმ ფულით ვიყიდო სასმელები. ასევე მინდა პირნათლად შევასრულო ცოლის წინაშე დადებული პირობა — წელს აღარ მოვხვდე მილიციის სამედიცინო გამოსაფხიზელებელში (დათრობაში დროს ვაცდენ, ფულს ვხარჯავ და მილიციას უნდა უფასოდ გამომეფხიზლოს?). ამით საგრძნობლად გავაუმჯობესებ ჩემს შარშანდელ რეკორდს (შარშან სუთფერ მოვხვდი იქ, წელს — ჯერჯერობით ერთხელ, მიმდინარე წლის პირველ კვარტალში). ვფიქრობ აგრეთვე: „საახმელიოდ“ ვიყიდო და დასამწნილებლად კასრში ჩავდო 50 კილოგრამი საგვიანო კომბოსტო, რითაც მკვეთრად გავაუმჯობესებ ჩემი და ჩემი მეგობრების ნაბახუსევზე გამოსვლის ხარისხს!

— ამჟამად რას აკეთებთ?  
— ძმაცაც ველოდები, ლუღსა და „ვობლას“ მოიტანს, პანმელიაზე ხომ უნდა გამოვიდეთ?

კორესპონდენტისა და ნამთვარლუკი ლოთის საუბარი ჩაიწერა ვანო ცინცაძემ

ნახატი ბ. ლომიძისა



# ესეც შენ, ჯოპერაქო!



სახლს რომ შეხედავ გარედან, თითქოსდა ნორმალურია, შიგ შეხვალ, გამჩენს უმადლე, თუ არ გაგისკდა გულია: კარი—ფანერის, ფანჯრები დარღვეილ-დაბრეცილია, მინების უმრავლესობა დამსხვრეულ-ჩალეწილია.. არც წყალია და არც დენი, დაყრუებულან ლიფტები!.. ქარმა გახვრიტა ორპირმა ჩემი ჯანსაღი ფილტვები!.. — „ჩვენს კოპერატივს რა უჭირს, ამაზე მდარეც ბარდება!“ —

წამოიკნავლა ჩემს გვერდით ჩია დეკანმა — ვარდენმა! — „ფულები უნდა დავყაჭოთ! სხვა გზა არა გვაქვს, ძამია!“ —

ამისი თქმა და ვარდენმა მორეკა ოსტატთ ჯარია!.. — „სარდაფებს ჩვენ დაგიტიხრავთ, დადეთ ას-ასი თუმანი!.. დღესვე დავიწყებთ, თუ გნებავთ, თუკი გკარნახობთ გუმანი!“ —

— „თუ რკინის კარებს ინებებთ, დაყაჭეთ შვიდას-შვიდასი!.. ვერბა მძარცველი ვერ გახსნის, თვით მაფიოზიც ტეხასი!..“ —

— „სინათლის თითო წერტილი ჯდება თხუთმეტი მანეთი!.. მრიცხველის ჩასმა კედელში სულ ასიოდე მანეთი!..“ —

— „რამდენ მინასაც ჩაგისვამთ, გიანგარიშებთ ათ მანეთს, ფული წინასწარ აკრიფეთ, მოეთათბირეთ ერთმანეთს!..“ —

— „თუ მეტლახს, კაფელს იშოვით, მეტრში ავიღებთ ოცდახუთს!.. ჩვენი მასალით? ხუთ თუმნად კვადრატს გაბარებთ მოხატულს!..“ —

— „თუ სანტექნიკას გამოცვლით, წერტილში ვიღებთ ას მანეთს!.. სვარკას ახლავე დავიწყებთ, თუკი დაგვიტომობთ ასპარეზს!..“ —

— „გაჯით ლესვაში ხუთ მანეთს ვიღებთ კვადრატულ მეტროზე!.. არცთუ იოლი საქმეა გაჯის მორგება ბეტონზე!..“ —

— „პარკეტი, მუხის თუ გინდათ, ჩვენი მასალით, დაგებით, ერთ კვადრატულ მეტრს შვიდ თუმნად დავხატავთ ლეთისა განგებით!.. ჩარჩო, ფანჯარა, კარები, ვატყობ, არ გამოგადგებათ, კვადრატულ მეტრზე ას-ასად კოპიტი დაიქარება!.. თითო ოთახი დაჯდება სამვალოდ ორი ათასი!.. ოქროს ხელი აქეთ ჩვენს ბიჭებს, მოჩითონ, როგორც ატლასი!“ —

ეს თქვეს და მიმოიფანტნენ „ჭიგულებით“ და „ვოლგებით“, უცხო სიგნალთა პიპინით „შევროლეების“, „ფორდების“ — „ნეტავი თავს რად ვაკლავდი ჩემს სადოქტორო შრომასა.

თუკი მეც ასე იოლად შევძლებდი გამდიდრებასა?“ —  
 ეს ცრემლიანი ტირადა დოქტორმა ბრძანა, კოწკამ, და დაბოღმილმა საათში კოლოფი „პრიმა“ მოსწია! დაგვექი, ვიანგარიშე, თავზე დამეცა რეტია: ჩემს ახალ ბინას სჭირდება ოცი ათასზე მეტია! ჩემო „ნინაგო“, ხომ ვიცი, გაჭირვების ხარ ტალ-კვესი, ალბათ კაცურად გაგვიგებ, რაც გვაწუხებს და რას ვკვნესით!..  
 იქნება ზღვარი დაულო წამლულე-წამგლეჯთა პარპაშსა, იქნება გადაგვარჩინო საბედისწერო თამაშსა!.. და თუ მაგდენი არ ძალგიდს, არ გყოფნის გრძელი-განედი,  
 მაშინ მასესხე (უვადოდ) ოცი ათასი მანეთი!

ის ზოგადი მტკივნეული პრობლემები, რომლებზედაც ჩემს ლექსშია საუბარი, ნაკარნახევია კონკრეტულით, კერძოდ, ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონში აშენებული მრავალბინიანი კოოპერატიული სახლით „აკადემია-478“ (მშენებელი ორგანიზაცია — თბილისის მე-14 ტრესტის მე-7 სამმართველო).  
 აღნიშნული კოოპერატივის 235 გაწამებული წევრის საერთო სატიკვარი ერთხელ უკვე გადაიცა საქართველოს ტელევიზიით და დაიბეჭდა გაზეთ „თბილისში“.

ლევან მილორაზა

## ბარდაქმნის სამკუთხედების მსგავსება

### ცნობარებისაუღ-გაოგაბრიული ფაქტორი

თეორემა. ორი სამკუთხედი მსგავსია, თუ ერთი სამკუთხედის ორი გვერდი პროპორციულია მეორე სამკუთხედის ორი გვერდისა და მათ შორის მდებარე კუთხეები ტოლია.

ვთქვათ, სამკუთხედებში — „სამსახური-უკონტროლობა-გარაკი“ და „პროტექცია-უდისციპლინოზა-ჯიბე-სამსახური“ ისე შეეფარდება „პროტექციას“, როგორც „უკონტროლობა“ — „უდისციპლინოზას“ და „სამსახური-უკონტროლობას“ შორის მოთავსებული თბილი კუთხე ტოლია „პროტექცია-უდისციპლინოზას“ შორის მოყუჩებული ტკბილი კუთხისა.

დასამტკიცებელია, რომ ეს სამკუთხედები მსგავსია. ამისათვის ერთი სამკუთხედის ფუძეზე, მის პერპენდიკულარულად დავუშვათ რევიზია სახალხო კონტროლის კომიტეტის წევროდან, მეორე სამკუთხედის ფუძეზე კი — ფინანსთა (ან შინაგან საქმეთა) სამინისტროს წევროდან.

რევიზიების დასკვნითი აქტებით აუცილებლად დაფრწმუნდებით ამ სამკუთხედების მსგავსებაში.

ამხანაგო პროკურორებო და მოსამართლენო, იყავით ფხიზლად, რადგან ჩვენ დასამტკიცებელი (გასაქსიომებელი) გვაქვს კიდევ ერთი ცნობარებისეულ-პრაქტიკული თეორემა: სამკუთხედი „სამსახური-უკონტროლობა-გარაკი“ მსგავსია არა მართლ სამკუთხედ „პროტექცია-უდისციპლინოზა-ჯიბესა“, არამედ „მოხსნა-შერაცხვენა (თავის მოჭრა, ლაფის დასხმა...) კონფისკაცია“ სამკუთხედისა!

ამხანაგებო! ყველამ უნდა დაეაჩქაროთ ამ თეორემის გააქსიომება!

**სოსო გაჭარაშვილი**  
(ქ. საჩხერე)



## წამებუებლის ახალი იგავი

წერეთ, იკითხეთ და წერეთ, თუმც სანივარი ძნელია! სანივარს ცხვარი შეუწირე, გადავარნივე მეკლია!..

რა უნდა შექნა? ის მეკლი ჩემი ციხე და ბანია, ფულით და ათას საჩუქრით სელებიც დამაბანინა!

დღეს, როცა ძნელი დღე გვიდგას, უნდა ათხოვო მას ყური! ვითომ შენც რამეს აკეთებ, ნაკლი დამალე ფაფურით!

სჯობს ათას ნიღაბს იცვლიდე, დამერწმუნებით ამაში, დღეს თუ ღომის როლს ასრულებ, სვალ მელის უნდა თამაში!

მისვლით იგავის მორალი? სსვა უკეთესი რაღა ვქნა? ვითომ გათეთრდი ყორანი, რომ შეეგუო ვარაქმანს?!

## საქანერგოს ზესტაფონის ელემტრომკსალს

თქვენ იცით ეკონომია, ჩვენ კი - წყვდიადთან ომია!

მოვტებნე ფარან-კვარები, ძლივს მივაგენი კარები!..

რამდენი ქარი ამოვა, სინათლე გამორთულია,

პირამდე ლუკმა ვერ მიგვაქვს, დარღით გვისკდება გულია!..

ბნელად წაგვსვლია ზამთარი, გვაქვს „ვაები“ და „უები“!.. ერთი კი ვიცით: თქვენს ხელში მალე გავსდებით ბუები!

## ვირთხის მადლოვან სანეპიდსადგურებს

ვირთხამ თქვა: არც სიზმარია, არც რომ თავს გარდასდებოდდი, კაკალ-სიმიინდით ნაკვები, სამ მეტრზე უკუვსტებოდი.

საწამლავს ისე მიზავებთ, შემერგო, როგორც წამალი, ისეთი მადა აღმეძრა, დაეჭაბე ქათამ-მამალი!..


მოვებრავლდი შვილთაშვილებით, ტანთ მშვენიის ქათამ-ზოლები, მალე ბაღ-მინდვრებს დავლაშქრავთ ვირთხების ლევიონები!..

ამოდ დამდევს ქვა-კებით მაშო არის თუ ფაცია, ხერელ-სოროები დატოვებ, მომწყინდა კონსპირაცია!

ახლა კი გემშვიდობებით, მწიფეა ვაშლი, მსხალია!.. პირ უნდა ჩავიტკბარუნო, თქვენთვის აღარა მცალია!

გიორგი კახანაძე

ნახ. ა. კანდელაკის



— ამას არაფერი არ შველის! მაინც მუშტს გვირტყამს!..

## ხეებს უხეები რეონიული კლერნიკა... ჩანახატი


ყოველი ხე და ბუჩქი მიწის სიციცხლეა, სოფელ-ქალაქის მშვენიერება, ჰაერის სიჯანსაღეა. მდიდარი და მრავალფეროვანი ეკოლოგია ქვეყნის საუნჯეა, ხალხის სიმდიდრეა. ამიტომ არავის აქვს უფლება, სიციცხლე მოუსწრაფოს თუნდაც ერთ ხესაც კი, რასაც ვველა როდი უწევს ანგარიში!..

ბავშვობაში ცხოვრებით დაბრძენული მეზობელი გლენკაცისაგან გამიგონია: ტყე დედამიწის ქორორია, თვალისჩინივით გაუფრთხილდითო მას! ამას იგი გვეუბნებოდა დიდი სამამულო ომის დროს, როცა ფრონტზე დაღუპული ჯარისკაცების შვილები სოფლის ბოლოს, ნაგებუნუს ფერდობებზე შეფენილ ტყეში გაგვედით შუშის დასამზადებლად. ეს დარიგება უნებურად გამასხენდა, როცა „კამაზის“ მარკის ვეებერთელა სატვირთო მანქანამ თბილისში, ავჭალის გზატკეცილზე, მშვენივრად ნაზარდ ჭადარს ნახევარი ჩამოახლია და ტოტებიანად ტროტუარზე მიაფინა!.. განახევრდა მრავალი წლის მანძილზე ნაზარდი ხის სიციცხლე!.. მესამე დღეს თეთრიწყაროს რაიონიდან მომავალმა ასეთი სურათი ვნახე: „ზილის“ მარკის სატვირთო მანქანამ სოფელ თელეთთან სწრაფად გადაუხვია გზის სავალი ნაწილიდან, მწვანე ზოლში გადავიდა და ჯანსაღად ნაზარდი ნუშის ხე თვალის დასამზადების უმაღლესაქცია!.. ესეც ივნისის მზიან დღეს მოხდა თბილისში: ავჭალის გზატკეცილზე სატვირთო მანქანამ გლდანისაკენ ტრამვაის გადასახვევის პირდაპირ ლამაზად გაშლილ ჭადარს ნახევარი ჩამოაგლიჯა!.. მსგავსი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება რესპუბლიკის ქალაქებიდან და სოფლებიდან. რის ბრალია ეს? რა თქმა უნდა, შოფრების წინდაუხედაობისა, მართვის წესების უხეში დარღვევისა და ალბათ იმისაც, რომ ავტომობილარეებმა არ იციან, ხეებს ფეხები არა აქვთ და გაქცევა არ შეუძლიათ! თუმცა მანქანების ტროტუარზე ავარდნას, თავისი გზიდან გადახვევას ადამიანთა მსხვერპლიც მოჰყოლია არაერთხელ!..


შოფრებო, იყავით ფრთხილად! — ყოველი ხე მიწის სიციცხლეა, სოფელ-ქალაქის მშვენიერება! ნუ ისარგებლებთ იმით, რომ მათ მოძრაობა არ შეუძლიათ, ისე არიან ფესვებით ჩაბლაღუჭებული მაცოცხლებელ მიწას და მათი სიდიადეც სწორედ ეს არის, თორემ ხეებს ფეხები რომ ჰქონდეთ, თქვენი შემყურნი აქამდეც გაიქცეოდნენ, უკანმოუხედავად დატოვებდნენ სოფელ-ქალაქს!..

ვალვა გულუა

# გაქართვის მივღებო



უსიტყვოდ



— ბარემ წაგების ლიმიტიც დააწესონ!..



— ახე საჯაროდ მატყუებ?!  
— ახლა საჯაროობაა, გენაცვალე!

თენგიზ ჩალაური

# როგორ დავანებოთ თავი თაბაქოს წევას

ფელეტონი

**რამდენიმე** საუკუნეა, მსოფლიოს უდიდესი მეცნიერები და სამედიცინო დაწესებულებები შრომასა და ენერჯის არ იშურებენ და თავს იმტვრევენ იმის თაობაზე, თუ როგორ იხსნან კაცობრიობა თაბაქოს წვეის მავნე ჩვევისაგან.

შექმნილია ასეულობით სხვადასხვა პრეპარატი, მეთოდი და საშუალება, მაგრამ უშედეგოდ! — კაცი და ქალი, მოხუცი თუ ახალგაზრდა, კვლავინდებურად აფუილებს და აბლაკუნებს უთვალავი დასახელების სიგარეტს, პაპიროსს, ჩიბუხს, სიგარას...

და აი, ახლახანს „ნიანგმა“ საოცრად სასიხარულო ცნობა მიიღო: უცნობმა ქართველმა მეცნიერმა ნიკო ყალიონაძემ შეიმუშავა უნიკალური და უზადო საშუალება ჯანმრთელობის ამ დაუძინებელი მტრის საბოლოოდ დასამარცხებლად და გასანადგურებლად.

აღსანიშნავია, რომ ეს უდიდესი აღმოჩენა არც ძნელად საშოვნელ მედიკამენტებს ითხოვს, არც ნებისყოფის ტიტანურ დაძაბვას და ნებისმიერ მსურველს უმტკივნეულოდ შეუძლია მისი შესრულება (თუმცა მცირეოდენი ხარჯების გაღებით, რაც მომავალში ერთიანობად აუნაზღაურდება).

მეცნიერმა ყალიონაძემ ნიკოტინთან ბრძოლის ეს მეთოდი შეიმუშავა მრავალწლიანი საგულდაგულო დაკვირვების შედეგად, რის შემდგომ ჩაატარა ექსპერიმენტი ათას ერთ მწვეველზე და მიიღო საოცარი შედეგი — ათას ერთივეს საშვილიშვილოდ შეეზიზღა თაბაქო.

ჩვენი სასიქადულო მეცნიერის დიდსულოვანი თანხმობით (რომელსაც ჩვენი ღრმა რწმენით ნობელის პრემია გარანტირებული აქვს) „ნიანგი“ თავის მკითხველებს სთავაზობს ამ მეთოდს:

1. რა სახის თაბაქოსაც უნდა ეწოდეთ („მზიური“, „კოლხეთი“, „ყაზბეგი“, „კოსმოსი“ და ა. შ.), დაუყოვნებლივ უნდა მოიშორთ და გადახედეთ ფინური წარმოების სიგარეტებზე. რეკომენდებულია „მარლბორი“, „ქემელი“, „კენტი“ და სხვა (შეიძინეთ „დეზერტირის“ ბაზართან, „ნასალოკის“ წილთან, ცენტრალური უნივერსიტეტის წინ, მიწისქვეშა გადასასვლელებში და, მოკლედ, სადაც გნებავთ, ყველგან იმოვიო! კოლოფი — 8 მანეთი) და ერთი კვირის განმავლობაში მიიღეთ ინტენსიურად!

2. კვირის დამთავრებისთანავე კატეგორიულად უარყავით ფინური წარმოების სიგარეტები და გადაინაცვლეთ ვერუთ წოდებულ საფირმო სიგარეტებზე („ფილიპ-მორისი“, „პალ-მალი“ და ა. შ. მათი შეძენა შეეძლიათ პირველ პუნქტში მინიშნებულ ადგილებში), კოლოფი 5-6 მანეთი დაიჯდებათ, მაგრამ ნუ დაინანებთ, რადგან მიზანთან ახლოს იმყოფებით. მიიღეთ უფრო მეტი სისძირით, ესეც ერთი კვირის განმავლობაში!

3. მითითებული დროის გავლისთანავე მაგრად გამოთვირით და „პისმელიაზე“ მთელი ოჯახის თანდასწრებით დაიფიცეთ, რომ ლუკმას არ გამოაცვლით შვილებს პირიდან, ცოლსა და სიდედრს შიშველს არ ატარებთ და არ გაყიდით მანქანის რიგს ძვირადღირებულ სიგარეტის გამო და ამიტომ... (არ შეშინდეთ, იძულებით კი არ ანებებთ თავს!)... უბრუნდებით ქართული წარმოების თაბაქოს („მზიური“, „კოლხეთი“ და ა. შ.).

ახეც მოიქცით!  
პირველივე ნაფაზის დარტყმისთანავე ისეთი სიმურალე დაგვეგერებათ, რომ იმწამსვე მისხდებით, თქვენ სამუდამოდ გადაეჩვიეთ თაბაქოს წვეის მავნე და საშიხელ ჩვევას!

თენგიზ ჩალაური



ნახ. გ. მოკრაშვილის

აპერიკული საბიოგრაფიული  
გორბალი

№ 634

30. IX 1987

КОНТРОЛЬНЫЕ  
ЗНАЧЕНИЯ



საბიოგრაფიული და იუმორისტული  
ჟურნალი „ნიანანი“ № 17  
(1747) სექტემბერი. გამო-  
დის 1923 წლის ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი  
ზაურ გოლგოზაძე

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ ადუიშვილი  
(პასუხისმგებელი მდივანი),  
ვახუშა ამირეჯიბი, ნოზაძე  
ბართაია, ბორის გურგუ-  
ლია, რევაზ თვარაძე, ჯე-  
მალ ლოლუა, ნოდარ მა-  
ლაზონია (მხატვარ-რედაქ-  
ტორი), აღდექსანდრე ხამსო-  
ნია, ბეჟან სიხარულიძე  
(მთავარი რედაქტორის მო-  
ადგილე), ჯანსუღ ჩარკვი-  
ანი, თამაზ წიფვივაძე, ნაფი  
ჯუსხიოთი.

ტექნიკური რედაქტორი  
ირაკლი დუნღუა

გადეცა ისაწყობად  
31. 07. 87 წ. ხელმოწერი-  
ლია დასაბეჭდად 11. 09.  
87 წ. ქალაქის ზომა  
60 X 90<sup>1</sup>/<sub>8</sub>, ფიზიკური ნაბე-  
ჭდი ფურცელი 1,5, სააღ-  
რიცხვო-საგამომცემლო თა-  
ბახი 1,94, საქართველოს კვ-  
ცის გამომცემლობა, ლე-  
ნინის 14. შეკვ. 1891.  
უე 04888. ტირაჟი 145000.  
ჟურნალი გამოდის თვეში  
ორჯერ. რედაქციაში შემო-  
სული მასალები ავტორებს  
არ უბრუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 880008.  
თბილისი-8, რუსთაველის  
პროსპექტი № 42.

ტელეფონები: მთავარი  
რედაქტორის — 99-55-54,  
მთ. რედ. მოადგილის —  
93-19-42, პ/მგ მდივნის —  
93-10-78, მხატვარ-რედაქ-  
ტორის — 99-02-38, გან-  
ყოფილებათა გამგეების —  
93-49-32, რედაქტორ-ლიტ-  
მუშაკების — 99-02-38,  
მდივან-მემაწიანის —  
99-76-69.

Сатирико - юмористиче-  
ский журнал «НИАН-  
ГИ» (На грузинском  
языке). Тбилиси, пр. Ру-  
ставели № 42. Издаель-  
ство ЦК КП Грузии,  
Ордена Трудового Крас-  
ного Знамени типогра-  
фия издательства ЦК  
КП Грузии, Тбилиси,  
улица Ленина № 14.

ფასი 20 კაპ.  
ინდექსი 76137

